საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1/530

„25" „08" 2017 წ.

ქ. თელავი

2017-2018 სასწავლო წლისათვის შემოდგომის სემესტრში დოქტორანტურაში სტუდენტთა მიღების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და 49-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, თესაუ-ს ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოს დებულებების, უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანების სამსახურებრივი ბარათებისა (24/08/2017წ.N976571; 24/08/2017წ.N977207; 24/08/2017წ.N977402) და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის (25/08/2017წ. N981903) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში 2017-2018 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღება განხორციელდეს შემდეგ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი:

1. ბიომრავალფეროვნება - 3 ადგილი;
2. მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია - 5 ადგილი;
3. კომპიუტერული მეცნიერება - 3 ადგილი;
4. ფუნქციათა თეორია და ფუნქციონალური ანალიზი - 2 ადგილი;

სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი:

1. გამოყენებითი ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა - 10 ადგილი;

აგრარულ მეცნიერებითა ფაკულტეტი:

1. „ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო პროდუქტების ტექნოლოგია"- 3 ადგილი;

2. დოქტორანტურაში ჩარიცხვა მოხდეს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად;
3. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს განცხადება რექტორის სახელზე შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების სურვილისა და ჩასაბარებელი უცხო ენის მითითებით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

ა) მოკლე სამოტივაციო წერილი, სადაც დასაბუთებული იქნება კვლევითი ინტერესები და დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების სურვილი;
ბ) განმცხადებლის ავტობიოგრაფია-CV;
გ) 2 ფოტოსურათი ზომებით 3X4;
დ) პირადობის მოწმობის ასლი /დედანთან ერთად/;
ე) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის დამოწმებული ასლი /დედანთან ერთად/ (მაგისტრის დიპლომთან გათანაბრებული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან დიპლომის ნამდვილობის დადასტურების დოკუმენტი. თუ ვერ ხერხდება აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენა მისაღებ გამოცდამდე იგი შესაძლებალია წარმოდგენილ იქნას სადოქტორო პროგრამის დასრულებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმის საბოლოლო გარკვევამდე დოქტორანტს შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.) ;
ვ) სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა (საჭიროების შემთხვევაში);
ზ) 50 (ორმოცდაათი) ლარის გადახდის ქვითარი.
და სხვა დოკუმენტები, თუ ასეთს ითვალისწინებს რომელიმე ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება ან პროგრამა;

4. საბუთების მიღება იწარმოებს 2017 წლის 29 აგვისტოდან 2017 წლის 18 სექტემბრის 12:00 საათამდე. საბუთების პირველადი შემოწმება მოხდეს ფაკულტეტებზე, სადისერტაციო საბჭოს მდივნების მიერ. შემოწმების შემდეგ საბუთების დედნები

უბრუნდება წარმომდგენს. სადისერტაციო საბჭოს მდივანი ვიზირებულ განცხადებას, დანარჩენ საბუთებთან ერთად, საბუთების მიღების დასრულებისას, აბარებს უნივერსიტეტის კანცელარიას;

5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები გამოცდები (სპეციალობა, უცხო ენა) ჩატარდეს 2017 წლის 20 სექტემბერს;
6. პროგრამაზე ჩარიცხვა განხორციელდება, იმ შემთხვევაში, თუ მისაღები გამოცდების შედეგების გათვალისწინებით, დადებით შეფასებას იმსახურებს 2 ან მეტი დოქტორანტობის კანდიდატი;
7. გამოცდების შედეგები გამოცხადდეს 2017 წლის 21 სექტემბერს;
8. დოქტორანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულებები გაფორმდეს 2017 წლის 21 სექტემბერს ;
9. გამოცდების შედეგების გასაჩივრების და საჩივრის განხილვის ვადად განისაზღვროს 2017 წლის 21-22 სექტემბერი;
10. დაევალოთ ფაკულტეტის დეკანებს:

   ა. დოქტორანტურაში მისაღები გამოცდის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
   ბ. საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად, 2017 წლის 29 აგვისტოს 17:00 საათამდე, უზრუნველყონ სპეციალობის საგამოცდო საკითხების ვებ–გვერდზე განთავსება;
   გ. სპეციალობაში საგამოცდო და საპრეტენზიო კომისიების შექმნაზე წარდგინების წარმოდგენა 2017 წლის 8 სექტემბრის ჩათვლით;
   დ. მისაღებ გამოცდაზე დაშვების შესახებ წარდგინებების წარმოდგენა 2017 წლის 19 სექტემბერს;
   ე. დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ წარდგინებების წარმოდგენა 2017 წლის 22 სექტემბრის ჩათვლით;

11. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების ასლის გადაცემა თესაუ–ს ფაკულტეტებისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურებისათვის;
12. დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს /ა. ღაღანიძე/ წინამდებარე ბრძანების განთავსება თესაუ-ს ვებ გვერდზე;
13. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს ა. მოსიაშვილს;
14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

უნივერსიტეტის რექტორი: /ირმა შიოშვილი/